


# საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, ბედობით ბეჭდუბით სიფყვას, ფყუილებით და ჭბბბბით ბუბბბის გაცხანა ყველა უკადრბბბბე უსაბბბბე.

**დაარსებულია 1918 წელს.**

**ოთხშაბათი, 15 აპრილი, 2015 წელი.**

**№67 (7712)**

# რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.

## მადლობა ღმერთს, დღეს მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება და ამაში გულანთებული უანგარო ადამიანების დიდი ღვაწლია ჩადებული

**უფინდებისა და უნატარების, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სააღვთმოდო პისტოლე**

ყოველდღისა მდგომარეობა მდგომარეობა, მოძღვარნი, დიაკონნი, ბერ-მონაზონნი, ყოველნი ერთგულნი და თავდადებულნი შვილნი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, საქართველოს მკვიდრნი და დროებით სამშობლოს გარეთ მცხოვრებნი თანამემამულენი.



„მაშ, ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით და სულით, რომელნიც არიან ღმრთისა“ (კორინ. 6,20)

„ღმერთი ვილხენ უფალში და ხარობს ჩემი სული ჩემს ღმერთში, რადგან შემოსა ხსნის სამოსელით (ეს.61,10)

„დღეს აღდგომისა დღე არს, განვბრწყინდებოდეთ აწ, ერნო...“ (ზატიკი)

უფალი, „რომელიც მიეცა ჩვენი ცოდვებისათვის, აღსდგა ჩვენს განსამართლებლად. (რომ.4.25) და სიკვდილიცა მოკლულ იქმნა მის მიერ (პარაკლ.), გიხაროდეთ!

ქრისტე აღდგა! სად არის სიკვდილო სანერტელი შენი? ქრისტე აღდგა! სად არის ჯოჯოხეთო ძლევაი შენი? (I კორ.15,55)

„აღდგა ქრისტე და დაირღვიე შენ; აღდგა ქრისტე და დაეცნენ ეშმაკნი; აღსდგა ქრისტე და ცხოვრება მოქალაქობს“ (წმ. იოანე ოქროპირი).

როგორც პავლე მოციქული ამბობს, ცოტას თუ ვინმეს შეუძლია სიცოცხლის განირვა მართალთათვის, ქრისტემ კი თავი დადო ჩვენთვის, რომელნიც ვიყავით უცხონი, მტრები და მონინაღმდეგეები მისთვის (შდრ. რომ. 5; 6-8).

– და რატომ ვიყავით მტრები და უცხონი? ღმერთი სიყვარული არს და ამ გრძნობით შექმნა და განმსჭვალა მან მთელი ხილული და უხილავი სამყარო.

ღვთაებრივი სიყვარული ვლინდება სხვისთვის მსახურებაში, სიკეთეში, სიმართლეში, მშვიდობაში, სინინდეში, მოწყალეობაში, სიხარულში...

ასეთი მადლით იყო მოცული ცოდვით დაცემამდე მთელი კოსმოსი, დედამინა და მკვიდრნი მას შინა.

როდესაც გველის ცდუნებით ადამა და ევამ ღვთის მცნება დაარღვიეს, ამით შემოქმედზე და მისი მცნებებით ცხოვრებაზე თქვეს უარი. უარი თქვეს იმ სიყვარულზე, რომელიც სხვისთვის გასცემს ყველაფერს და არ ექებს თავისას; მადლდაკარგულებს ამპარტავენების ვნება დაეუფლათ, ეგოისტური აზრები და თავის თავზე ორიენტირებული სიყვარული გაუჩნდათ.

ადამის მთელი მოდგმა ამ სენით დაავადდა

და საღვთო დიდებისათვის განმზადებულმა თავი წარწყმედისთვის განირა.

ამიტომაც ვიყავით განშორებული ღვთისგან. – როგორ გვიხსნა ქრისტემ და რას ვზეიმობთ მისი აღდგომით?

ყველა ადამიანის სული, ადამის ცოდვის გამო, გარდაცვალების შემდეგ ჯოჯოხეთს იმკვიდრებდა.

მამა ღმერთმა ჩვენს გამოსახსნელად მოავლინა თვისი მხოლოდშობილი ძე, რომელმაც მიიღო სრული ადამიანური ბუნება და თავის ჰიპოსტასში განუყოფლად და შეურევლად შეურთა საღვთო ბუნებას, რითაც განაღმრთო კაცება.

იესო ქრისტემ ყოველს მომცველი, მსხვერპლშენიერი სიყვარულის ძალით ბოროტების საკრველნი დაამსხვრია, დაამხო ეშმაკის მუუფება, მართალთა სულები გამოიხსნა და კაცობრიობისათვის ზეცის კარიბჭენი განახსნა.

დიახ, ამიერიდან მართალთათვის გარდაცვალება იქცა არა წარწყმედის, არამედ ცხოვნების, სიხარულისა და მარადიულ ნეტარებაში დამკვიდრების საშუალებად.

ამიტომაც წერია ფსალმუნში: „პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკვდილი წმინდათა მისთა“, ამიტომაც აღნიშნავს ეკლესია წმინდანთა გარდაცვალების დღეს ზეიმით.

უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელიც რწმენითა და სინანულით აღესრულება, უფლის მადლითა და მოწყალეობით, წმინდათა შორის დაემკვიდრება (რა თქმა უნდა, თავისი ამქვეყნიური ღვაწლის შესაბამისად, სხვადასხვა სავანეში), ამიტომაც მოძღვარი წესის აგების ღვაწლში ასე ავედრებს უფალს გარდაცვლილს: „წმიდათა თანა განუხსენე, ქრისტე, მონასა (ან მხევალსა) შენსა...“


სწორედ ეს აღთქმა, წმინდათა შორის მარადიული თანამყოფობისა, არის აღდგომის ზეიმის არსი, თითოეული ადამიანის იმედისა და სიხარულის საფუძველი.

თბ. 2 გვ.

## ენა უენი სისოცხლე უნდა იყოს

კონსტანტინე ლორთქიფანიძე:


ენა, რომელზეც დაიწერა „ეფესის-ტყაოსანი“, „სიბრძნე-სიცრუისა“, „თთარაანთ ქვრივი“, „ბასტრიონი“, რა თქმა უნდა, მხარში უდგას და უტოლდება მსოფლიოს უმდიდრეს ენებს. ქართულ ენას მოეპოვება ისეთი ძლიერი არსენალი – საოცრად მდიდარი ლექსიკა, საოცრად მოქნილი ზმნა, ისეთი გრამატიკული სტრუქტურა, რომ ნახეთ, დიდოსტატის სულში როგორ ამეტყველდა ღმერთი ქვეყნისა! განა შექსპირზე არ ამბობდნენ, ამ კაცის მერე წერა საერთოდ ძნელი არისო...



14 აპრილი - დედაინის დღე

არ არსებობს ქვეყნად არაფერი, არც დედამიწაზე, არც მალა ცაში, არც ადამიანის სულში, რომ ქართულმა ენამ ვერ გადახატოს. მაგრამ ეს თავისთავად, ასე ვთქვათ, უბრძოლველად როდი კეთდება. ამ არსენალს მწერალი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ ის შესძლებს დიდი კავშირის დამყარებას თავის დროსთან, თუ შესძლებს საჭირო და აუცილებელი იყოს თავისი თაობისათვის. ენა უენი სისოცხლე უნდა იყოს.

## მზაკვრობა ეკრანზე



4 აღდგომას... „ლონდრა“?

ხმალუეპართული საპარატნიზი მოქმედაბაუი იანოვსკიდან ჰიუიტაბლა, ანუ მებრალთა ბამებრალბა ბალუი 6

ჰენაღი ბენიძე:

როდის „ჭამს კურს“ სამართალი?



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..







აიფონა-აიფონა

დოლარის მიმართ ლარის კურსის ვარდნის შეჩერება და შემდგომ მისი სავარაუდოდ საპროგნოზო 20,5-2,10 ნიშნულზე შეჩერება კვლავაც რჩება მთავრობის ეკონომიკური გუნდის უწინარესი ამოცანა, ამდენად, ამ საკითხზე ლაპარაკი კიდევ ბევრჯერ მოგიწევს. როდის მოხდება ეს, არც ადგილობრივ, არც უცხოელ ექსპერტებს ამის თაობაზე დროის რაიმე კონკრეტული ვადის დასახელება უჭირთ, თუმცა კი, მეტ-ნაკლებად დარწმუნებულად აცხადებენ, რომ კურსის რყევები ზაფხულის დადგომამდე მაინცაა მოსალოდნელი.



აქვთ. ცხადია, რომ ლარის კურსის ნოემბრის მაჩვენებელს ახლო პერსპექტივაში ალარ დაუბრუნდება, ამდენად, ექსპერტებს მცირე მენარმეთა მდგომარეობის შემსუბუქების გზად გადასახადების შემცირება ესახება.

სადღეისოდ, მრავალი პატარ-პატარა სავაჭრო თუ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი საიჯარო გადასახადის გაზრდის გამო დაიხურა, ასეთივე მდგომარეობაა აგრარულ ბაზრებშიც, სადაც მთელი სავაჭრო რიგები დაცარიელებულია. ლარის გაუფასურება,

ვადამი გამოსწორებას მრავალ მიზეზთა გამო არ უნდა ველოდოდ, რომელთაგან ამ ჯერზე მხოლოდ ზოგიერთს აღვნიშნავთ. ერთი, რომ მძლავრი საერთაშორისო ინსტიტუტებიდან, მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან დახმარებას, როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში ვერ მივიღებთ. დაგეგმილი 5-პროცენტული ეკონომიკური ზრდა პარტნიორების რჩევით, 2 პროცენტამდე დაინეცს. თუმცა კი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტთა განცხადებით, „ესეც, გარკვეულწილად, რისკის შემცველი პროგნოზია.“

მიზეზთა შორის ასევეა უცხოეთიდან კერძო ფულადი გზავნილების 25-პროცენტული შემცირება, რამაც ძალიან ბევრ ოჯახს დიდი პრობლემები შეუქმნა, ვინაიდან სამომავლო გეგმები სწორედ ამ შემოსავალს უკავშირდებოდა.

მოსახლეობისა და მენარმეთა საკმაოდ დიდ ნაწილს მძიმე დღეები უდგას. კონკრეტულად თუ ვილაპარაკებთ, მათ შორის, ვისაც კომერციული ბანკებიდან სამომხმარებლო, იპოთეკური, სამენარმეო თუ სხვა ტიპის სესხის აქვს გამოტანილი, ნახევარზე მეტს, უფრო სწორად კი 60 პროცენტს, ფული დოლარებით აქვს გამოტანილი, ხოლო ლარის გაუფასურებამ მათ კრედიტები 25 პროცენტით და მეტადაც გაუძვირა.

გაჭირვებულ მსესხებელთათვის მდგომარეობის შესაბამისი შეწყვეტა, საბანკო სესხების რესტრუქტურისა და ლონისძიებები ერთ თვეზე მეტია დაანონსებული, თუმცა კი, ამის თაობაზე კონკრეტულ მონაცემებს არც ეროვნული ბანკი, არც კომერციული ბანკები კონკრეტულ მონაცემებს არ ავრცელებენ. ვალუტის ალბუმი კრედიტების რესტრუქტურისა და გასტუმრების გადავადებათა დაკავშირებით კი რამდენიმე კომერციულმა განაცხადა, რომ ვალის რესტრუქტურის შედეგად, კლიენტი ყოველთვის უნდა იღებოდეს თანხას გადაიხდის, რასაც დოლარის გამყარებამდე იხდოდა, თუმცა, დევალვირებული ლარის გამო, მათი ვალის

პალი პალი, პინდა ლარით ბაისტუმრე, ბინდა - დოლარით!

მომსახურების ვადა გაიზარდება.

ამასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამით სესხის პროცენტი მნიშვნელოვნად იზრდება, თანაც, ზოგიერთი ბანკის წარმომადგენლის განცხადებით, ასეთი შედეგია... მხოლოდ „კარგი საკრედიტო ისტორიის მქონე“ კლიენტებზე გავრცელდება, ხოლო „ცუდი გადახდების“ საკითხი ინდივიდუალურად გადაწყდება. ეს კი, არსებითად, იგივეა, რასაც კომერციული ბანკები ჩვეულებრივად, ყოველდღიური მუშაობის რეჟიმში აკეთებენ. ამდენად, დეველუაციის ტვირთის რეალურად შემსუბუქების ზომების მიღებაზე (ვთქვათ, საპროცენტო განაკვეთების შემცირებაზე, გარკვეული ქონებით არაუზრუნველყოფილი სესხების მოცულობის გაზრდა და ა. შ.), ლაპარაკი არ არის, თუმცა კი, სხვა ქვეყნებში ბანკები ამას სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი კარნახის გარეშე აკეთებენ. ყოველივე ამის, ასევე ზოგიერთი სხვა მომენტის გათვალისწინებით, ექსპერტები აცხადებენ, რომ ლარის დეველუაციით გამოწვეული სავალუტო სესხების გაძვირების ტვირთის შემამსუბუქებელი მოქმედებები მხოლოდ პიარზე გავთლილი ნაბიჯებია, რომლებსაც მოვლეთათვის რეალური შედეგიათი არ მოყვება.

კარგი დღე არც მცირე ბიზნესს ადგას, მიკრო და მცირე მენარმეები გაკოტრებას ჯერჯერობით თავი პროდუქციის თუ მომსახურების ფასის გაზრდით გა-

ცხადია, პატარ-პატარა სავაჭრო თუ მომსახურების ობიექტების მეპატრონეებზეც ძალიან უარყოფითად მოქმედებს, რადგან საბანკო კრედიტები უცხოური ვალუტით აქვთ გამოტანილი, ლარის ვარდნის გამო ზარალის ასანაზღაურებლად პროდუქციის თუ მომსახურების უსასრულო გაძვირება ვერ მოხდება, ამდენად, ბევრი გაკოტრების უპირობო კანდიდატია.

ბუნებრივია, რომ ლარის დეველუაცია ძალიან დიდ პრობლემას სოფლის მეურნეობაშიც ქმნის. ამ შემთხვევაში მთავარი პრობლემა ისაა, რომ იაფი აგრარული პროგრამის მესამე კომპონენტის სესხები გლეხებს დოლარებით აქვთ აღებული, შესაბამისად, მათი გასტუმრება ხალხისთვის დიდად გაძნელებულია. ოფიციალური მონაცემებით, იაფი სესხის ფარგლებში 15 770 აგრარული კრედიტია გაცემული, მათგან 600-ზე მეტი ფერმერი მესამე კომპონენტში ჩაერთო. ახლა კი, ლარის კურსის შემცირებასთან დაკავშირებით, სესხად აღებული ყოველ ათას დოლარზე 200 დოლარით გაუძვირდა. არადა, ამ 610 კაცს 30-დან 600 ათას ლარამდე შესაბამისი თანხები დოლარებით აქვთ აღებული! ამასთან დაკავშირებით ფერმერთა ასოციაციაში აცხადებენ, რომ ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს პროექტების მართვის სააგენტო, რომელსაც მათ მიმართებს. თუმცა კი, ისიცაა, რომ საბანკო კრედიტების დაფარვა არც ლარით აღებული სესხის პირობებშია ადვილი, რადგან პრობლემა ამით დიდად არ იცვლება - გამოსავალი ან პროდუქციის გაძვირება, ანდა საწარმოს დახურვაა. ექსპერტების აზრით, საქმეს მხოლოდ მენარმეთათვის საგადასახადო ტვირთის შემცირება უშველის და ამის არგუმენტად მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების ტემპის შენელებითაც ამაგრებენ, თუმცა კი, როგორც ჩანს, მთავრობა ამ ნაბიჯის გადადგმას ჯერჯერობით არ აპირებს, ან, უკეთეს შემთხვევაში, არ ჩქარობს.

ოთარ ტურაბალიძე

საქართველოში ყაზახეთის რესპუბლიკის საელჩოს ცნობა

სახელმწიფოს მეთაურის 2015 წლის თებერვლის №1018 ბრძანებულების თანახმად, 2015 წლის 26 აპრილს დანიშნულია ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები.

ყაზახეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო კანონის „ყაზახეთის რესპუბლიკაში არჩევნების შესახებ“ 23-ე მუხლის თანახმად, ყაზახეთის რესპუბლიკის უცხოეთის განყოფილებებთან ჩამოყალიბებულია 65 საუბნო საარჩევნო კომისია.

კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქეები, რომლებიც ჩავიდნენ უცხოეთის სახელმწიფოებში ვერძო მიწვევით, სამსახურებრივი, საქმიანი და ტურისტული მოგზაურობებით, საუბნო საარჩევნო კომისიებში მიმართვის შემთხვევაში და მათი ყაზახეთის რესპუბლიკის მოქმედი პასპორტის არსებობის დროს ისინი შეტანილი უნდა იყვნენ ამომრჩეველთა სიაში.

კანონის 41-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ამომრჩეველებისგან წერილობითი განცხადების არსებობის შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისიამ უნდა მოახდინოს გამსვლელი კენჭისყრა ქვეყანაში ყოფნის ფარგლებში გადატანილი ურნის გამოყენებით.

არჩევნების დროს საარჩევნო უბნებში კენჭისყრა ეწყობა ადგილობრივი დროით 7-დან 20 საათამდე.

დამატებით გაცნობებთ, რომ კანონის 28-ე მუხლის თანახმად, მითითებული საარჩევნო უბნების შენობებში შეგიძლიათ გაეცნოთ ინფორმაციას ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატის შესახებ.

საქართველოში ყაზახეთის რესპუბლიკის საელჩოში პასუხისმგებელი პირები არჩევნების ორგანიზაციის საკითხებში:

იულდაშვიძე აკიმურაბი მუხამბეაძე  
ქმ (995 32) 255 20 00;  
კურბანბალი ალისა ალმისანდრას  
ასული: (995 32) 255 20 00;  
(995 32) 2 99 76 84

რეკლამა  
მაგაბლის ქ. №7.  
„საქართველოს რესპუბლიკაში“  
29 3-37-87;  
568 82-09-84

კაპალ გულში

- ყველაზე რელიგიურ ქვეყნებს შორის მოხვედრა „პრადეინუტობა“ თუ „ზად-ვინუტობა“?
- სამარხო დანაშაულები ხო არ დაგრაივინებს, ბურჯაგის დანაშაულები დაგამილიზიანა.
- ვინაობა ჩაკეტული ქონებრებზე მისწრები დაამატეთი ვილაცამ გააგებინა ნარიყალაზე მეზარბაზნეები არ არიანო!
- ჯერ იმ კაბის ფერზე გამიზრეს სისხლი, მერე კაბა ადის თუ ჩადისო და ახლა ადგა თუ აღსდგაო? მორჩით რა!
- არ შემიძლია ამ თბილისელი ჯაან ტაკოების პოსტები „უიმე წაეთრენ“, თან ფანჯარაში რომ იყურებიან როდის ჩამოვა სოფლიდან ვენერა და გაალებს მაღაზიას, რო ნისიად ამოიტანონ „რახაცეფი“.
- ბილატეს სათუო ამბავი მოუტანეს.
- პონტია, - გაიფიქრა პროკუ-

ნუსკიოვანი თქაზები

რორმა და სამშობლო გაახსენდა. ● საკუთარი სიბრძნეობით ამდენი წელიწადი ტუბობა და ტრახახი გამევირებია. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ხომ შედეგით ფასდება. თუ გაბრწყინებულ ქვეყანაში ცხოვრობთ, მაგასაც ნუ დამიძლავთ. ● „კომუნისტების“ დროს, ჯო დასენის ფირფიტა მქონდა, რომელსაც უკანამ მხარეს მისი ბიოგრაფია ეწერა და გარდაცვალების მიზეზად ავტოაგარია იყო მოხსენიებული... ახლახან გავიგე, რომ თურმე „პერედოზით“ გარდაცვლილა...

ამით იმის თქმა მინდა, რომ „სისხლისმსმელი კომუნისტები“ უფროსი დედადნენ ადამიანებს და იმათაც, ვინც ამ ადამიანებს პატივს სცემდა. სიტყვის თავისუფლება არ ნიშნავს ქორაობას და არავის საქმე არაა, რით გარდაიცვალა კოტე თოლორდავა. მთავარია, რომ ერთი კარგი ახალგაზრდა კაცი და ნიჭიერი მასხიობი დაიღუპა, რაც ძალიან დასანანიაო. ისე, ძალიან მაინტერესებს, როგორ სიმღერებს დაწერდნენ ვლადიმერ ვისოცკი, ჯონ ლენონი, ჯენის კოპლანი, კურტ კობეინი, ჯიმ მორისონი და კიდევ ძალიან ბევრი, ფიზიკური ცხოვრებით რომ ეცხოვრათ! ამოკრიბა ბინა ბაბრიძეძე














კალოსნობა



უაილიუვილის მე-6 ადგილი

საპარტეპელო ნაკრების წევრმა რამინ შამილიშვილმა (56 კგ) თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე მე-6 ადგილი დაიკავა.

რაზგი

ნარიუვილის პირველი უკანა ლელო

საპარტეპელოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების ბურჯი მიხეილ ნარიუვილი საფრანგეთის პირველი ელიტარული დივიზიონის ტოპ 14-ის „მონპელიეში“ მეოთხე სეზონს ატარებს და წლებადედილი გათამაშების 22-ე ტურში ამ კლუბის მისურით თავისი პირველი ლელო გაიტანა.

პირველი უკანა ლელო

ლაშვილის „ლა როშელი“ დავით ქუბრიაშვილისა და ზურაბ ჟვანიას „სტად ფრანსეს“ 19:19 ეთამაშა. ყველაზე მეტი შეცვლაზე 35-ე წუთზე შევიდა; შერკინებებში მის წინაშე 63-ე წუთამდე ითამაშა ქუბრიაშვილმა, რომელიც სასტარტო შემადგენლობაში იყო და შეცვალეს, ხოლო ჟვანია მოედანზე 72-ე წუთიდან შევიდა.

ფეხბურთი

აქეთურ-იქითური



XXVI ეროვნული ჩემპიონატი. XXIII ტური. „ბათუმი“ - „სამტრედია“ 1:0, „მერანი“ - „დინამო“ 1:1, „დილა“ - „სიონი“ 1:0, „ტორპედო“ - „ზუგდიდი“ 0:0, „კოლხეთი“ - „ზესტაფონი“ 4:0, „მეტალურგი“ - „შუქურა“ 1:3, „ცხინვალი“ - „გურია“ 3:0, „ვიტ ჯორჯია“ - „ჩიხურა“ 1:2.

იტალია. „პარმა“ - „იუვენტუსი“ 1:0, „ტორინო“ - „რომა“ 1:1, „ლაციო“ - „ემპოლი“ 4:0, „მილანი“ - „სამპდორია“ 1:1, „ნაპოლი“ - „ფიორენტინა“ 3:0.

ჭადრაკი



დისკვალიფიკაცია ემუქრება

ძარტეპელ მოჭადრაკეს გაიონი ნიგალიძეს ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია ემუქრება. მიზეზი დუბაის საერთაშორისო ტურნირზე მომხდარი ინციდენტია. ნიგალიძეს მაქინაში მონაწილეობა ბრალდება.

კალათბურთი

ზაზა ფაჩულიძის „მილუოკი ბაქსმა“


ზაზა ფაჩულიძის „მილუოკი ბაქსმა“ გასვლით მატჩში „ფილადელფია“ 107:97 დაამარცხა. ფაჩულიძის სასტარტო ხუთეულში იმყოფებოდა და პარკეტზე 19 წუთი დაჰყო.



დაფასება

კაშია ერადივივიონის ტურის სიგოლურში მოხვდა

ცნობილმა ჰოლანდიურმა გამოცემამ Soccernews.nl-მ ერადივივიონის 30-ე ტურის სიგოლური გუნდი გამოაქვეყნა.




ში არნემელთა შემადგენლობაში კარგად ითამაშა ვაკო ყაზაიშვილმა და საგოლე გადაცემა მიითვალა, თუმცა კვირის გუნდში მისი ადგილი არ მოიძებნა.

ინტერნეტიდან

ლარისა მგოსანი ეზრვის

თუ გესურს ლოგიკური აზროვნება განვივითაროთ, პირველ რიგში ექვემდებარება ჩემპიონატების დაჯილდოება უნდა ვისწავლოთ.



ლარისასთანა ქალებს თაყვანისმცემლები არასოდეს მოაკლდებათ, მაგრამ სამწუხაროდ იდენტური ლოგიკა არ კმარა იმის გასაგებობად, თუ როგორი ტიპისა და კატეგორიის მამაკაცებს შეიძლება შეუყვარდეთ მკერდაზიდული რიკელმე.



დღესასწაული

ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი – საქართველოს მშენებელი და ჩვენზე გლოცველი

ბრწყინვალე შვიდწლოანი სამშობლოს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს ივერიის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულს. თბილისში მახათას მთაზე შენდება ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი და სამონასტრო კომპლექსი. როგორც ყველასათვის ცნობილია მშენებლობის ფონდი „ივერიისა“ ახორციელებს, რომელსაც სათავეში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით უდგას ბატონი პაატა ბურჭულაძე. ეს მართლაც საუკუნის უნიკალური მშენებლობა სახალხო აქციაა, ტაძარს მთელი საზოგადოება, საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები ერთიანი ძალისხმევით აშენებენ. ამ აქციაში ყველა მსურველს საშუალება ექვლება თავისი შემონიშნულობით (თანხის ოდენობის მიუხედავად) თანაბარი წილი გაიღოს ამ ტაძრის მშენებლობაში. უკვე შექმნილია სპეციალური წიგნი, რომელშიც მილიონობით აღმშენებლის გვარ-სახელები შევა და საუკუნეებს გადავცემა.



დაცვა. სწორედ ეს გამოვლინდა ჯერ კიდევ ხატმებრძოლეობის დროს აღსრულებული სასწაულით, როდესაც ხატმებრძოლი მეომრის მახვილით მიყენებული ჭრილობიდან ხატს სისხლი გადმოსდინდა, როგორც ცოცხალად დამიანს. ეს სისხლიანი ჭრილობა ღვთისმშობლის სახეზე დარჩა ამ ხატის განმასხვავებელ და დამახასიათებელ ნიშნად. ხატის კიდევ ერთი სასწაული გაცხადდა მეთავე საუკუნეში. ხატი სასწაულთმოქმედებით მიბრძანდა ათონის მთაზე, ქართველთა მონასტერში და თავისი მადლითა და მფარველობით გააბრწყინა არამარტო ივერთა მონასტერი, როგორც მძლავრი ქართული საგანმანათლებლო კერა, არამედ მთელი ათონის მთა, რომელიც დღემდე ითვლება მსოფლიო ქრისტიანულ ცენტრად და მართლმადიდებლობის მტკიცე დამცველად.



1989 წელს ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და თხოვნით, ათონის მთაზე ათონელი ბერების ხელით დაიწერა ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის დედნის ტოლფასი, ზუსტი ასლი, რომელიც ღვთის განგებით საქართველოში იმავე წლის 9 ოქტომბერს ჩამოვრდნა. ქართველმა ხალხმა ხატის ძირამდე 51 მეტრია. ამ უნიკალური ტაძრის არქიტექტორი გახლავთ ბატონი ომარ ნაფეტვარიძე. კარგა ხანია, დაწყებულია ტაძრის მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება, სადაც დაირგო წიწვოვანი ხეები და გაშენდა ზეთისხილის ბაღი. დღეს საზოგადოებას ჯერ კიდევ სჭირდება ათეისტური აზროვნებისაგან სრული განთავისუფლება, არაეკლესიური ცნობიერების დაძლევა. ჩვენ ხომ სინამდვილეს ცხოვრება გვიცავს ყოველგვარი ბოროტი ძალების ზემოქმედებისაგან.



„უფალმა არ მოაკლოს კეთილი, რომელი ვლენან უბინოდ“ – გვასწავლის საღმრთო წერილი, და ვინც მიიღებს ამ სწავლებას, მას უფალი არ მოაკლებს წყალობას. სწორედ აქეთკენ სვლაში განსაკუთრებით შეგვეწვევა ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი.

**მამუკა ვაშაძე**  
**სურათებში:** ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობა მახათას მთაზე. ლოცვა მშენებარე ტაძარში.



სააღდგომო სარეკამი ღვთისმშობლის მხარეში

ქაპის მუნიციპალიტეტში აფხაზეთიდან და მახათალოდან დევნილ კომპაქტურად ჩასახლებულ ოჯახებს (ქაპში, სოფელ მეტეხსა და თელიანში) წინა სააღდგომო სარეკამი დაუზრუნველდა. მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ტენდერში შპს „დულოიმ“ გაიმარჯვა, რომელმაც 159 ოჯახს საცხოვრებელ ადგილზე, გამგეობის მიერ შეკვეთილი 9 დასახლების 70-ლარიანი სასარეკამო პაკეტი მიუტანა. ყველა ოჯახმა მიიღო 2 ცალი ქათამი, სააღდგომო პასკა, 1 ფილა კვერცხი, 5 ლიტრი ზეთი, 5 კგ შაქარი, 600 გრ კარაქი, 2 ცალი შესქელებული რძე, 1 კგ ტკბილეული და 5 კგ ფქვილი. „დევნილი ოჯახებისადმი – ეკონომიკური და მორალური თანადგომა ჩვენი მოვალეობაა. ვცდილობთ, შესაძლებლობის ფარგლებში, მათ გვერდით ვიყოთ და დევნილობით გამოწვეული ტვივილი შევეუსუბუქოთ“, – აღნიშნა ქაპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გომიტიშვილმა. დევნილთა ოჯახები კმაყოფილები არიან უხვი ნობათით და ყურადღებით, რისთვისაც მადლობა გადაუხადეს ქაპის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

აპთანდელ გეგმები



ცინცხალი ანაკლოტა

– არსებობს თუ არა სამყაროში გონიერი სიცოცხლე?  
– რა თქმა უნდა!  
– მაშ, რატომ არ გვიკავშირდებიან ჩვენ, ადამიანებს?  
– იმიტომ რომ გონიერია!  
\* \* \*  
ძალბა ურიუბინისკის ზოპოპარკში ახლად-შობილმა შიმპანზემ ვოლიერის დალაგება, თამბაქოს მონევა, უწმანური სიტყვები და არყის სმა იცის. როგორც კი ეს ამბავი ცხოველთა დაცვის საზოგადოების მესვეურთა ყურამდე მივიდა, მათ დააკითხვაზე მეუბოვე ი. ი. ივა-ნოვი დაიბარეს.  
\* \* \*  
სამსტაბის სიახლენი:  
სტაბისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, როგორც იქნა შარშანდელი შედეგები დააჯამა. დღესდღეობით ქვეყნის თითოეულ ზრდასრულ მოქალაქეზე 0,000 238 იახტა და 0,000 137 კერძო თვითმფრინავი მო-

დის, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 7 პროცენტით მეტია.  
\* \* \*  
წუხელ ჩემს ბინაში ქურდი შეიპარა. გამიკვირდა – ეს რა ქურდი ყოფილა-მეთქი, არაფერი წაუღია, პირიქით, მაგიდაზე ოცლარიანი დამიტოვა, რომელსაც ქვეშ ბარათი ამოუდო: „არა, ძმაო, ასე ცხოვრება არ შეიძლება!“  
\* \* \*  
რჩევა ქალბატონებს: რეკომენდებული არ არის სხვადასხვა ძვირფასი ლითონის სამკაულების ერთდროულად ასხმა. გახსოვდეთ: ვერცხლის საყურე და გულსაბნევი ოქროს კბილებს აშკარად არ უხდება!  
\* \* \*  
ცოლი ეუბნება ქმარს:  
– ძვირფასო, რაც მე შემირთ, მას შემდეგ აშკარად დაჭკვიანდი!  
– კაი დროსაა!  
\* \* \*  
– მინო, რატომაა, რომ სულ რაღაცას ხეთქავ?  
– იმიტომ რომა, კარგა გამამდის!

კალრი



ავტორთა საყურადღებო! რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა მანაბლის ძ. №7 ინდექსი 66434

გამომცემლობა: შპს „თანადგომა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაქ)070.4(479.22) ს-323 ISSN 2233-3851 9 772233 1385001

მთავარი რედაქტორი ალიკო ასლანიშვილი 293-37-87; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიანიშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსინი 599 17-21-21; სპარტაკ მოჰუბლია 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაძე 514 33-33-24